



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 327

ქალაქი ქუთაისი 25 ნომბერი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 14.11.2016 წლის №1227 და 24.11.2016 წლის №1284 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრისათვის“ /ს/კ 412682501/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N40-ის სამხრეთით მდებარე ნაკვეთის /ფართობით: 997.0 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.21.315/, ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა №13გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის /ფართობით: 1150.0 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.01.452/ და ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა №11ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის /ფართობით: 308.0 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.21.313/, 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №78 დადგენილების შესაბამისად, რომელიც შეადგენს 15500.0 /თხუთმეტიათასხუთასი/ ლარს.

**მუხლი 3.** შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიკალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“ /ს/კ 412682501/ ვალდებულია იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის, პარკირების ადგილას განთავსებული ავტომობილების მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო მსუბუქი კონსტრუქციების განსათავსებლად.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი